სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №54

3 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმომადგენილი მმართველი დირექტორის პაატა შალამბერიძის სახით და მეორეს მხრივ, "საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (შემდგომში მომწოდებელი) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ლავრენტი ჭუმბურიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. " ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში – ხელშეკრულება) – შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორ) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი- შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომლის ფარგლებშიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4."შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მოწოდებას, ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. მომსახურეობა – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **ხელშეკრულების საგანია – ერთადგილიანი და ერთვალუტიანი საბუღალტრო პროგრამა „ორის"-ის (შემდგომში ,,საქონელი"). მოწოდება**

CPV კოდი - 48440000- ფინანსური ანალიზისა და ბუღალტრული აღრიცხვის პაკეტები

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 840 (რვაას ორმოცი)ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გაფორმებიდან 5 დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 .საქონელი შემსყიდველის მიერ ჩაითვლება მიღებულად მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ან საგადასახადო დოკუმენტაციაზე ხელმომწერი უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი

6. მომსახურეობის გაწევის პირობები

6.1. ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ,,საქონლის" მოწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირება; რაც გულისხმობს ,,ხელშეკრულების საგნით" გათვალისწინებული ,,საქონლის" ნებისმიერი სახით კონტროლს (ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში).

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული ,,საქონლის" ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ,,საქონლის" ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი)%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები [illegible]

დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია „დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლება მოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს **2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მომწოდებელი:
ა(ა)იპ ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“	შ.პ.ს.“საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“
მის: სამტრედია, რუსთაველის ქ. №2 ს/კოდი - 238775704 მომსახურე ბანკი - სახელმწიფო ხაზინა	მისამართი ქ.თბილისი, წერეთლის გამზირი №61 ს/ კოდი - 203843804 მომსახურე ბანკი- თიბისი ბანკი საბანკო კოდი: TB GBGE 22 ანგარიშსწორების ანგარიში: GE83 TB 060 0000 000 700 665
მმართველი დირექტორი პაატა შალამბერიძე	დირექტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

მიღება-ჩაბარების აქტი№54/1

5 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმომადგენილი მმართველი დირექტორის პაატა შალამბერიძის სახით და მეორეს მხრივ,"საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (შემდგომში მომწოდებელი) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ლავრენტი ჭუმბურიძის სახით, ვადგენთ ქვემდებარე აქტს მასზედ ,რომ 2016 წლის 3 ოქტომბერს ურთიერთ შორის გაფორმებულ № 54 ხელშეკრულების საფუძველზე „შემსყიდველმა" „მომწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების დაცვით ნამდვილად მიიღო **ერთადგილიანი და ერთვალუტიანი საბუღალტრო პროგრამა „ორის"-ის .**

მოწოდებლი "საქონლის „ ჯამური ღირებულება შეადგენს **840(რვაასორმოცი) ლარს.**

მოწოდებული"საქონელი" შესაბამისია სახელშეკრულებო მოთხოვნების.

მხარეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომეტში ერთმანეთის მიმართ რაიმე სახის პრეტენზია არ გააჩნიათ.

აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

ა(ა)იპ ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია"	შ.პ.ს."საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია"
მის: სამტრედია, რუსთაველის ქ. №128 ს/კოდი - 238775704 სახელმწიფო ხაზინა	მისამართი ქ.თბილისი, წერეთლის გამზირი №61 ს/ კოდი - 203843804 მომსახურე ბანკი- თიბისი ბანკი საბანკო კოდი: TB GBGE 22 ანგარიშსწორების ანგარიში: GE83 TB 060 0000 000 700 665
მმართველი დირექტორი პაატა შალამბერიძე	დირექტორი ლავრენტი ჭუმბურიძე